სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისა და შეწყვეტის რეგულირება საქართველოსა და "საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების პრინციპების"მიხედვით

(შედარებით -სამართლებრივი კვლევა)

ნათელა თანიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მამფორია, სამეწარმეო სამართლის მაგისტრი, როტერდამის უნივერსიტეტი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგებს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ნათელა თანიაშვილი /_____ ნ.თანიაშვილი _____ / 01.07.2020

აბსტრაქტი

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის, თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის სავაჭრო ურთიერთიბებს, დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც,ვინაიდან ვერც ერთი მადგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქტებით უზრუნველყოს თავისი თავი , ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ვაჭრობისა თუ ყოველდღიურ ჩვენს ცხოვრებაში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ხელშეკრულების დადებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, ამიტომ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ვალდებულების დარღვევისა და ვალდებულების შეწყვეტის განხილვა, ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის ურთიერთმიმართება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განსაზღვრა; კვლევის მიზანია შედარებით-სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით, საერთაშორისო უნიფიცირებული რეგულაციების მიმოხილვითი განხილვით განსახილველი ინსტიტუტების მიმართ უკეთესი ხედვის ჩამოყალიბება, სახელშეკრულებო ურთიერთობებში და ასევე სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად საინტერესოა უცხოური კანონმდებლობასთან შედარება და აღნიშნული ინსტიტუტების ანალიზი, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების განხილვა ,რომელიც სავალდებულო ძალის მქონეა საქართველოსთვის და შესაბამისად მათი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ხელს შეუწყობს განსახილველი ინსტიტუტების მიმართ უკეთესი ხედვის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები : ვალდებულების დარღვევა, შეწყვეტა, ხელშეკრულება

Abstract

International trade has a great impact on international politics, because it creates close business connections between countries, in the modern interdependent world the economy market becomes more important for trade relations.

Today, all countries, includins Georgia, are involved in international trade, because no one can be self-sufficient and can only provide its products, so it has a very important place for international trade and everyday commitments to fulfill our obligations.

The conclusion of the contract has always accompanied by a certain risk of as possible violation of the obligation, therefore it is important to review non-performance and termination of the obligation, the relationship between withdrawal and termination of the contract, the determination of the right to claim damages,

The goal of the research is to create a better view of the institutions that are discussed by reviewing international uniform regulations, by using comparative-legal methods. In order to eliminate the shortcomings in the contractual relations as well as in the case law, it is interesting to compare them with foreign legislation and analyze these institutions, discuss international legal acts, which are binding on Georgia, and therefore their comparative legal analysis will help to develop a better vision.

Keywords : Non-performance, Termination, Contract.